# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № 5

## 2024 წლის 12 იანვარი

## ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.10.730) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 06 დეკემბრის N5/66819 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქ. გორში, კვერნაქის მთაზე მდებარე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.10.730) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბერს N1/1-7029 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ გორში, კვერნაქის დასახლებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.45.10.730), რომელიც მუნიციპალიტეტს ესაჭიროებოდა არსებული სასაფლაოს გაფართოებისთვის. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს 2023 წლის 15 მაისის N12-2023135282 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, რომელიც ახდენს სასაფლაოების მოვლა-პატრონობას გვაცნობა, რომ მითითებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 66.45.10.730) თავისი რელიეფის გამო გამოუსადეგარია საფლავებისთვის, მიწის ნაკვეთი არის დამრეცი ფერდობი და შესაბამისად შეუძლებელია სასაფლაოს მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგა საკითხი ქალაქ გორში, კვერნაქის დასახლებაში არსებული 131 118.00 კვ.მ. ფართის (ს.კ. 66.45.10.731) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამებოდა და მისაღები იყო სასაფლაოების განსათავსებლად. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1/1-7466 ბრძანების საფუძველზე გადმოგვეცა მითითებული ქონება, რომლის სანაცვლოდ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოითხოვა ქალაქ გორში, კვერნაქის დასახლებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.10.730) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, კვერნაქის დასახლებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.45.10.730) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 06 დეკემბრის N5/66819 წერილის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, კვერნაქის დასახლებაში არსებული 148 819.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.45.10.730.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

66.45.10.730 -რეგისტრირებულია

| საკადასტრო კოდი | ფართობი |
| --- | --- |
| 66.45.10.730 | 148819 კვმ. |

ნაკვეთის ტიპი
არასასოფლო სამეურნეო

მისამართი
ქალაქი გორი , დასახლება კვერნაქი

საკუთრების ტიპი
საკუთრება

**მესაკუთრე(ებ)ი**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტი

**დოკუმენტ(ებ)ი**

- საკადასტრო გეგმა (6)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (8)